საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მონაცემთა გაცვლის სააგენტო

მონაცემთა გაცვლის სააგენტო

E-GOVERNMENT.GE
საინფორმაციო ფურცელი

გამოშვება **#16** ივლისი, 2012

გამოშვებაში წაიკითხავთ

სერთიფიჯატების გადაცემის ცერემონიალი ინფორმაციული უსაფრთხოების ტრენინგის მონაწილეთათვის 1

ბრიუსელში საქართველოს კიბერ უსაფრთხოების სტრატეგია განიხილეს 2

ყველა ახალგაზრდული სერვისი ერთ სივრცეში 2

სამუშაო შეხვედრა ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტის განვითარების ფარგლებში 3

მონაცემთა გაცვლის სააგენტო საჯარომ საჯარო ორგანიზაციების ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი დაიწყო 3

ტრენინგი კიბერ უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით 3

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ საჯარო სექტორისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების თემაზე გამართული ტრენინგების მონაწილეებს სერთიფიკატები გადასცა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ სასტუმროში „თბილისი მარიოტი“ ინფორმაციული უსაფრთხოების თემაზე საჯარო სექტორისთვის გამართული ტრენინგის მონაწილეებს სერთიფიკატები გადასცა. ტრენინგების ციკლში, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა 10 საჯარო ორგანიზაციის 30-მდე წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას.

ტრენინგები წინ უძღოდა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონის ამოქმედებას, რომელიც ძალაში 2012 წლის 1 ივლისს შევიდა.

„1 ივლისიდან ძალაში შევიდა კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სექტორის ორგანიზაციებს მივაწოდოთ ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული რეგულაციების შესახებ, რათა მათ გაუადვილდეთ ახალ მოთხოვნებთან შესაბამისი ადაპტაცია და წარმატებით მოახდინონ ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე რეაგირება. ეს საჯარო და კერძო ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ კარგად გამართული სტრუქტურა, რომელიც ამავე ორგანიზაციების ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი გარანტია. ტრენინგების ციკლიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.“ - **ირაკლი გვენეტაძე,** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე (გაგრძელება გვ. 2)

www.justice.gov.ge www.house.gov.ge www.my.gov.ge www.cra.gov.ge www.napr.gov.ge
www.archives.gov.ge www.nbe.gov.ge www.notary.ge www.matse.gov.ge www.eauction.ge www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2)

ტრენინგების ციკლი ორ ძირითად მიმართულებას მოიცავდა: 1) **კომპიუტერულ ინციდენტების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება.** 2) **ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, დანრგვა და ორგანიზაციაში მისი აუდიტი.**

ტრენინგები ჩაატარეს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კვალიფიცირებულმა ტრენერებმა, რომლებიც ფლობენ შესაბამის ცოდნას და აქვთ ინფრომაციული უსაფრთხოების სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. მონაცემთა გაცვლის სააგენტო მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს ტრენინგების ციკლს სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის.

ბრიუსელში საქართველოს კიბერ უსაფრთხოების სტრატეგია განიხილეს

16 ივლისს, ბრიუსელში ნატო-საქართველოს ერთობლივი კომისიის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც ქართულმა მხარემ საქართველოს კიბერ უსაფრთხოების სტრატეგია წარადგინა. აღნიშნული სტრატეგიის ძირითადი ნაწილი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქტირუად მუშავდებოდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და სხვა სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით.

ბრიუსელის შეხვედრაზე ქართულმა მხარემ კიბერ უსაფრთხოების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები წარადგინა და ნატოს წარმომადგენლებთან ერთად დეტალურად განიხილა მისი თავსებადობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან.

„ნატო-საქართველოს ერთობლივი კომისიის ფარგლებში გამართული ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო, როგორც ქართული, ისე ევროპული მხარისთვის, ვინაიდან ჩვენ ერთმანეთთან მჭიდრო კონსულტაციების შედეგად შევიმუშავეთ სქართველოს კიბერ უსაფრთხოების სტრატეგია. შეხვედრისას ჩვენ ასევე შევთანხმდით, რომ აქტიურ თანამშრომლობას სამომავლოდაც გავაგრძელებთ როგორც სტრატეგიის სრულყოფაზე, ისე ზოგადად ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა მიმართულებებზეც.“ - **ლაშა დარსალია**, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი.

სამუშაო შეხვედრაში საქართველოს მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, საქართელოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

ყველა ახალგაზრდული სერვისი ერთ სივრცეში

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავდა ახალგაზრდობისთვის განკუთნილი ელექტრონული სერვისების ვებგვერდი.

ვებგვერდის მეშვეობით საქართველოში მცხოვრებ მოზარდებს, ახალგაზრდებს, მშობლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ერთ სივრცეში მოიპოვონ ინფორმაცია საქართველოს დიდ ქალაქებში მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი ფასიანი და უფასო სერვისების შესახებ.

ვებგვერდის მეშვეობით შესაძლებელია ახალგაზრდობისთვის შემუშავებული სერვისების ერთ სივრცეში, კომპფიორტულად მოძიება. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, კომპიუტერული კურსების, ხელოვნებისა და სპორტის წრეების, იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების, გასართობი დაწესებულებებისა და სხვა მრავალი მიმართულების შესახებ.

სამუშაო შეხვედრა ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტის განვითარების გარგლებში

ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტის განვითარების ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრქტურის სამმართველოს თანამშრომლებმა ჰოლანდიაში, ქ. როტერდამში გამართულ სამუშაო შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა.

შეხვედრების ციკლი პროექტის სხვადასხვა ფაზების იმპლემენტაციის პროცესის ნაწილია, რომლის დროსაც განხილულ იქნა ერთიანი სავაჭრო ქესლის პლატფორმისა და მასში ჩართული სუბიექტების ერთნამეთთან კავშირის აგების მოდელი.

ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბება საშუალებას მისცემს ვაჭრობაში ჩართულ მხარეებს ელექტრონულ რეჟიმში გაცვალონ ინფორმაცია, რაც შეამცირებს დანახარჯებსა და ტრანზაქციებზე დახარჯულ დროს. იგი საშუალებას მისცემს ვაჭრობის მონაწილეებს თავი აარიდონ დოკუმენტ-ბრუნვას და არა მხოლოდ ელექტრონულად მოახდინონ საჭირო ფორმების შევსება და ტვირთების განბაჟება, არამედ მიიღონ ინფორმაცია გადაზიდვების განრიგის, ტვირთის ადგილმდებარეობისა და ვაჭრობისათვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაციის შესახებ. აღნიშნული ქსელი კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს სატრანზიტო კორიდორის მნიშვნელობას და ხელს შეუწყობს საქართველოში ტვირთბრუნვის ზრდას. ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბებას, მისი მუშაობის ტექნიკურ ზედამხედველობასა და კოორდინაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო განახორციელებს.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო საჯარომ საჯარო ორგანიზაციების ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი დაიწყო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული პოლიტიკისა და უსაფრთხოების სამმართველოს თანამშრომლებმა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში ინფორმაციული უსაქფრთხოების კუთხით არსებული მდგომაროების აუდიტი დაიწყეს. პირველი ორგანიზაცია, რომლის აუდიტიც განხორციელდა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო იყო.

„კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, რომელიც 1 ივლისიდან ამოქმედდა, სხვადასხვა საჯარო ორგანიზაციებს უწესებს ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველა საჯარო ორგანიზაციისთვს. აქედან გამომდინარე ჩვენი სააგენტოს ინფორმაციული პოლიტიკისა და უსაფრთხოების სამმართველოს წარმომადგენლები იწყებენ სხვადასხვა საჯარო ორაბიზაციების ინფორმაციული უსაფრთხოების აუტიტს, რათა გვქონდეს სრული სურათი თუ სად გვაქვს ნაკლოვანებები და რა სამუშაოებია ჩასატარებელი ამ მიმართულებით.“ - **ირაკლი ლომიდძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო, ინფორმაციული პოლიტიკისა დ აუსაფრთხოერბის სამმართელო.

ტრენინგი კიბერ უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით

Eesti Infotehnoloogia Kolledž
The Estonian Information Technology College

2012 წლის 14 ივლისიდან 30 ივლისამდე საქართელოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტიოს ინფორმაციული პოლიტიკის და უსაფრთხოების სამმართელოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სატრენინგო კურსში, რომელიც კიბერ უსაფრთხოების თემატიკას ეძღვნებოდა. სატრენინგო კურსი ესტონეთში, ქ. ტალინში „ესტონეთის IT კოლეჯში“ (Estonian IT College) ჩატარდა.

საქართველოდან ღონისძიებას 15 მონაწილე ესრეებოდა, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურას წარმომადენდნენ. სატრენინგო კურსზე საქართელოდან მონაწილეობის დასწრება განათლებისა და მედნიერების სამინისტროს ორგანიზებით განხირციელდა.

სატრენიგნო კურსი მოიცავდა ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის - ინფორმაციული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებს, კიბერ-შეტევების სპეციფიკას და მათზე ეფექტურად რეაგირების საშუალებებს, იფნორმაციული უსაფრთხოების ოფიცრების უნარ-ჩვევების ასამაღლებელ სამმუშაოებს და სხვა.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge; www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2

თბილისი 0102, საქართველო

ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40

ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის სააგენტო

თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **"Subscribe"** ან დაარეგისტრირეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **"Unsubscribe"**.